საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №16

2019 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

„შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებაში (www.matsne.gov.ge, 27/03/2014; 010210000.08.002.016923) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის შემადგენლობა, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე, განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სახალხო დამცველი და სხვა წევრები.

4. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის მდივანს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2019 წლის 11 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**